

სამაგისტრო პროექტი: "რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA)  
საქართველოს მთავრობის საგადასახადო ინიციატივა "დაბეგვრის  
შელავათიანი საგადასახადო რეჟიმის" შესახებ"

ნათია ალექსიშვილი  
ლია გოგუაძე  
დავით დონღვანი

ჯგუფი #3

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი ხიმტოვანი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2018 წელი

## განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნათია ალექსიშვილი

ლია გოგუაძე

დავით დონღვანი

22.06.2018

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის გატარებული რეფორმების შესწავლა და შეფასება. ნაშრომი მოიცავს სამთავრობო ინიციატივას, კერძოდ, მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის 2018 წლის 01 ივლისიდან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შემოღების, წინასწარ ანალიზს RIA-ს (რეგულირების ზეგავლენის შეფასების მოდელი) მეშვეობით.

კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა კონტენტ ანალიზი, კერძოდ მოხდა მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, გატარებული და სახეცვლილი რეფორმების შესახებ 90-იანი წლებიდან დღემდე, აგრეთვე განხორციელებული ქმედებების შეფასებისთვის და შედარებისთვის გაანალიზდა საერთაშორისო გამოცდილება. კვლევის შემდეგ ეტაპზე განისაზღვრა რეფორმის ჭრილში დაინტერესებული მხარეები, მცირე და საშუალო მეწარმეები, სამინისტროები, ასოციაციები და ა.შ. დაზუსტებულ იქნა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მოდელის (RIA) მეთოდი - მრავალკრიტერიუმანი ანალიზი (MCA).

კვლევაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის კითხვარი, რომელთა საშუალებით ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებთან, ასევე მცირე მეწარმის სტატუსის არმქონე ფიზიკურ პირებთან, რომელთა წლიური ბრუნვაც არ აჭარბებს 500 000 ლარს, განხორციელდა აგრეთვე სატელეფონო ინტერვიუებიც, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

საბოლოოდ, მოხდა მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. შეფასება მოხდა კვლევის ავტორების მიერ შემუშავებული სპეციალური შკალის მეშვეობით. რომლის საშუალებით შემუშავებული სამი ალტერნატივა შეფასდა სოციალური, გარემოსდაცვითი, ფისკალური და ეკონომიკური ზეგავლენის კუთხით.

მიღებული შედეგებიდან დადგინდა, რომ შემოთავაზებული საგადასახადო ინიციატივის განხორციელებით, სახელმწიფო ნაწილობრივ ხელს შეუწყობს, მაგრამ სრულად ვერ აღმოფხვრის იმ დაბრკოლებებს, რაც მცირე და საშუალო მეწარმეობის

განვითარებას აფერხებს. ასევე, დადგინდა მსს-ს სექტორის განვითარების ყველაზე დიდი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც არაერთგზის იყო ნახსენები როგორც ბენეფიციარების, ასევე სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან. როგორც აღმოჩნდა, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი დაბრკოლება ამ კუთხით, არის ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მსს-ს განვითარების სტრატეგიაში აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია კვლევის ფარგლებში ოპტიმალურ ვარიანტად შერჩეული 2 ალტერნატივის, კერძოდ საგადასახადო ინიციატივისა და ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამთავრობო ფონდის შექმნა. აღნიშნული უზრუნველყოფს მსს-ს სექტორისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: **მცირე მეწარმე, მსს სექტორი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.**

## Abstract

The purpose of this research is to explore and evaluate the reforms implemented by the state for small and medium entrepreneurship development. This thesis involves the government initiative, in particular, advance analyze by RIA (Regulatory Impact Assessment Model) on launching a preferential tax regime for small and medium entrepreneurs from July 01,2018.

The content was analyzed, the content analysis method was used, in particular, The information was mobilized on implemented and altered reforms about small and medium entrepreneurship from 90's until today. Also, international experience was analyzed for evaluating and comparing implemented actions. At the next stage of the study – interested parties, stakeholders, small and medium-sized entrepreneurs, ministries, associations, etc were defined. The RIA method of regulatory impact assessment model (MCA) has been specified.

In the survey there was used various types of questionnaires, through which the deep interviews with the representatives of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, as well as with the non-entrepreneurial individuals who do not have an annual turnover of more than 500,000 GEL. Phone interviews were also conducted to verify the information.

Finally, the information was obtained and analyzed. The assessment was made through the special scale developed by the authors of the survey. The three alternatives were assessed in terms of environmental, fiscal and economic impacts.

From the results obtained, it was revealed that by implementing the proposed tax initiative, the state will partly assist, but will not completely eliminate the obstacles that impede development of small and medium entrepreneurship. Also, the most important obstacle to the development of this sector was identified, which was mentioned by the beneficiaries as well as the representatives of the Ministry several times. As it turned out, a significant and decisive obstacle in this regard is the lack of access to financial resources. However, it is noteworthy that the solution of this problem is one of the priority issues in the Strategy of the Government of Georgia

Based on the obtained results, it is recommended to create a government fund. In order to increase two optimal alternatives within the frame of the survey, particularly the tax initiative and the access to financial resources.

Key search keywords: **Small size enterprises , Small- and medium-sized enterprises (SMEs) MSE sector, access to finances.**